სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

05 ნოემბერი 2025

GOV N 3318/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ცაგერის სატყეო უბნის ზუბის სატყეოს კვარტალი N19-ის ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით (საკადასტრო კოდი: 89.11.25.068) ელექტრონული აუქციონის N1103 გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის, 33-ე , 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 08 ოქტომბრის N006639325 დასკვნის, ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 05 ნოემბრის N21987 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N1103 ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-„სააგენტო“) რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ცაგერის სატყეო უბნის ზუბის სატყეოს კვარტალი N19-ის ყოფილ საკოლმეურნეო ტყეში მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკადასტრო კოდი: **N89.11.25.068**).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს“ ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი. N-34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო